

ბიზნეს სუბიექტები... 2016 (7)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2016 წლის ივლისის თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 3 794 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 96.2% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 3.8% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) 0.867 დონეზე დაფიქსირდა.

ა.წ. ივლისის თვეში დაფიქსირდა კლება როგორც წინა თვესთან (6.1%-ით), ასევე, წინა წლის იმავე თვესთან (9.2%-ით) შედარებით.

2016 წლის ივლისის თვეში წინა თვესთან შედარებით სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 6.0%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 8.3%-ით შემცირდა. განსხვავებული ტენდენცია დაფიქსირდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით: სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 10.2%-ით შემცირდა, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 26.3%-ით გაიზარდა.

ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით შესაბამისად 0.859 და 1.134 დონეებზე დაფიქსირდა.

ა.წ. ივლისის თვეში ბიზნეს სუბიექტთა უმეტესობა დარეგისტრირდა ინდივიდუალური მეწარმის (1 973 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 52.0%) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (1 603 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 42.3%) სახით. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 94.3% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. ამავე თვეში ქვეყანაში დარეგისტრირდა: 142 არასამეწარმეო იურიდიული პირი, 50 კოოპერატივი, 20 უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, 4 სააქციო საზოგადოება და 2 უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი.

ა. წ. ივლისის თვეში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით გამოიყო ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული და გამოვლინდა აღნიშნული მონაცემების ზრდა/კლების ტენდენცია (წინა თვესთან და წინა წლის იმავე თვესთან შედარებით).

P.S. დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა... ივლისი, 2015-2016

(ბ) ცხრილი - რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული... ივლისი, 2016

(გ) გრაფიკი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**(ა) ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა
ივლისი, 2015-2016**

ინდიკატორები	ზ.ე.	ივლისი	
		2015	2016
რაოდენობა			
სამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	4066	3650
არასამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	114	144
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	ერთეული	4180	3794
სტრუქტურა			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	97.3	96.2
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	2.7	3.8
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	100	100
ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	3.9	-6.0
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	7.5	-8.3
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	4.0	-6.1
ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	14.6	-10.2
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	8.6	26.3
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	14.5	-9.2
ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი			
სამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.957	0.859
არასამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.898	1.134
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	კოეფიციენტი	0.955	0.867
რაოდენობა			
ინდივიდუალური მეწარმე	ერთეული	2477	1973
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	0	0
კოოპერატივი	ერთეული	54	50
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1512	1603
სააქციო საზოგადოება	ერთეული	15	4
კომანდიტური საზოგადოება	ერთეული	0	0
უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	8	20
არასამეწარმეო იურიდიული პირი	ერთეული	113	142
უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	0	2
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ერთეული	1	0

(ბ) რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის მიხედვით ტერიტორიული ერთეულების ტოპ ათეული. ივლისი, 2016

#	ტერიტორიული ერთეული	რაოდენობა	პროცენტი	
		ივლისი 2016	ივლისი 2015	ივნისი 2016
1	თბილისი	1474	0.8	-6.9
2	ბათუმი	219	-6.8	-26.0
3	ქუთაისი	183	-16.8	-6.2
4	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	127	225.6	9.5
5	რუსთავი	88	-26.1	-18.5
6	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	77	-13.5	-36.4
7	მარნეულის მუნიციპალიტეტი	61	-28.2	-33.7
8	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	57	-10.9	9.6
9	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	56	1.8	-3.4
10	თვითმმართველი ქალაქი ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	50	19.0	13.6

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2016

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016

ახალი ბიზნეს სუბიექტები (ერთეული)

